DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

სარჩევი

დაგეგმილი ღონისძიებები	2
ჩატარებული ღონისძიებები	7
საიუბილეო გამოცემა	8
წევრთა სიახლეები	9
შეთავაზება Rooms Tbilisi-სგან	11
შეთავაზება Golden Tulip Design Tbilisi-სგან	12

თქვენი საიმედო პარტნიორი

თვალყური ადევნეთ ჩვენს სოციალურ ქსელს და შემოგვიერთდით ფეისბუქსა და ლინკდინზე!

ოფიციალური წარმომადგენლობა

messe frankfurt

SES Senior Experten Service DER WELT EXPERTEN DIENST

FRUIT LOGISTICA

Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

Messe Frankfurt und Fruit Logistica
ვატო კასრაძე
vato.kasradze@dwv.ge

თანამშრომლობა

GTAI GERMANY TRADE & INVEST

DIHK Deutscher Industrie- und Handelskammertag

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

კონტაქტი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge

HiPP
Das Beste aus der Natur.
Das Beste für die Natur.

დაგეგმილი ღონისძიებები

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გერმანიის მთავრობამ, KfW განვითარების ბანკის დახმარებით, საქართველოს მთავრობას 20 მილიონი ევროს ოდენობის სესხი და 3 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი გამოუყო, რათა ინვესტირება განახორციელოს საქართველოში **დახელოვნების ცენტრის (CoE)** დაარსებასა და ოპერირებაში.

აღნიშნული ცენტრი იქნება მსგავსი ტიპის პირველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც იმუშავებს ორი შერჩეული მიმართულებით - ლოჯისტიკა და მშენებლობა.

პროექტის უკეთ გაცნობის მიზნით, პროექტის შემქმნელი PEM გიწვევთ ღონისძიებაზე, სადაც გაიმართება პროექტის პრეზენტაცია და იქნება კითხვების დასმის შესაძლებლობაც.

ღონისძიება ჩატარდება **ინგლისურ/ქართულ ენაზე** და უზრუნველყოფილი იქნება სინქრონული თარგმანი.

ღონისძიების ადგილი: რესტორანი „რესპუბლიკა“.
მისამართი: 6 ვარდების რევოლუციის მოედანი, თბილისი 0108.
დრო: 3 მაისი, 15:00-18:00 სთ.

სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, მონაწილეობა დაუდასტუროთ მედეა კვანტალიანს.

DWV-ტრენინგი

DWV და შვეიცარიული ფონდი BPN Georgia გიწვევთ 3 დღიან ჰიბრიდულ სემინარზე: **“დროის მენეჯმენტი“.**

სამუშაო ენა: გერმანული, ქართული ქრონოლოგიური თარგმანით.

ფორმა: თეორიული ელემენტები, პრაქტიკული ცოდნის გაზიარება, ქართულ-შვეიცარიული მაგალითებით გაჯერებული სავარჯიშოები, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა, ინფორმაციის გაცვლა.

ადგილი: აფაქიძის ქ. #5 (სპორტის სასახლის უკან, ტიფლის ბიზნეს ცენტრი, მე-4 სართული). შესაძლებელია ონლაინ დასწრებაც.
ღირებულება: 100 ლარი. გათვალისწინებულია ყავის შესვენება.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

დაგეგმილი ღონისძიებები

Investors Council

DWV-ბიზნეს ფორუმი

17 მაისს DWV გეპატიჟებათ მორიგ ბიზნეს ფორუმზე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, **ბ-ნი ერნსტ პეტერ ფიშერი**, მიმოიხილავს არსებულ ვითარებას და უპასუხებს თქვენს შეკითხვებს.

ბ-ნი საშა ტერნესი, DWV-ის მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, გახსნის ფორუმს და წარმართავს ღონისძიებას.

ამჯერად ჩვენი სტუმარია **ინვესტორთა საბჭო.**

დიდი ბრიტანეთის ელჩი, **ბ-ნი მარკ კლეიტონი**, ისაუბრებს ინვესტორთა საბჭოს შექმნასა და მის მნიშვნელობაზე.

ამის შემდეგ, ინვესტორთა საბჭოს გენერალური მდივანი, **ბ-ნი გიორგი ჩერქეზიშვილი**, ინვესტორთა საბჭოს მუშაობის მეთოდებსა და აქტუალურ თემებზე ისაუბრებს.

ღონისძიება ჩატარდება **ქართულ ენაზე**, **გერმანული სინქრონული თარგმანით**.
DWV წევრებისთვის ღონისძიებაში მონაწილეობა უფასოა.

თარიღი და დრო: ოთხშაბათი, 2023 წლის 17 ივნისი, 16:00-18:00 სთ.
მდებარეობა: შერატონ გრანდ მეტეხი პალასი, თელავის 20, 0103 თბილისი.
გთხოვთ, 15 მაისის ჩათვლით დაუკავშირდეთ ქ-ნ მედეა კვანტალიანს.

DWV-Get Together

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გიწვევთ გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მორიგ "Get Together" ღონისძიებაზე:

ოთხშაბათს, **17 მაისს, 18:00 საათიდან** რესტორანში **შერატონ გრანდ მეტეხი პალასი.**

მისამართი: თელავის ქუჩა 20, 0103 თბილისი.

მოუთმენლად ველით თქვენთან შეხვედრას!

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-ტრენინგი

DWV და C-team Management Consulting გიწვევთ ერთობლივ ტრენინგზე:

KPI- ციფრებით მართვადი წარმატება!

როგორ ვაქციოთ ორგანიზაციის მიზნები თანამშრომლების პირად მიზნებად?

როდის არის თანამშრომლის მართვა ეფექტიანი? მაშინ, როდესაც ორგანიზაციაში ეფექტიანი მართვის სისტემებია დანერგილი. გამართულ ორგანიზაციულ სტრუქტურაში კარგი მენეჯერის მთავარ მიზანს არა თითოეული თანამშრომლის "მართვა", არამედ ეფექტიანი, კომპანიაზე მორგებული მართვისა და კონტროლის სისტემის განვითარება და დანერგვა წარმოადგენს. ამდაგვარი მართვის და კონტროლის ინსტრუმენტია დაბალანსებული ინდიკატორების სისტემა (Balanced Scorecared). იგი საშუალებას იძლევა, ასობით თანამშრომლის საქმიანობა გახდეს გაზომვადი და ორგანიზაციის მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული.

სამიზნე აუდიტორია: ორგანიზაციის ხელმძღვანელები (CEO/General Director), ორგანიზაციისა და სტრატეგიის განვითარების მენეჯერები, ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელები, დეპარტამენტების/განყოფილების ხელმძღვანელები.

ტრენინგს გაუძღვებიან: დავით ქარდავა, C-team management consulting-ის ხელმძღვანელი, და მარიამ ცნობილაძე, C-Team-ის პროექტის მენეჯერი.

ტრენინგზე რეგისტრაციის მსურველებს გთხოვთ, 2023 წლის 8 მაისის ჩათვლით შეავსოთ <u>სარეგისტრაციო ფორმა.</u>

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: medea.kvantaliani@dwv.ge.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

DWV-ტრენინგი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) და BDO Academy გიწვევთ ერთობლივ ტრენინგზე:

“2021-2023 წლების მნიშვნელოვანი საგადასახადო სიახლეები“

სემინარის მიზანია, მსმენელებს გააცნოს 2021-2023 წელს ამოქმედებული მნიშვნელოვანი საგადასახადო სიახლეები დღგ-ის ახალი რეფორმისა და სხვა გადასახადების შესახებ, რაც მოიცავს ძირითად პრინციპებსა და დეტალებს ოფიციალური საილუსტრაციო ქეისების მაგალითზე.

სასწავლო სემინარის აუდიტორია: ბუღალტრები; საგადასახადო ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი სპეციალისტები; საგადასახადო დაბეგვრით დაინტერესებული პირები.

სწავლების მეთოდოლოგია: სემინარს ექნება პრაქტიკული ხასიათი. თეორიულ მასალასთან ერთად, განხილული იქნება პრაქტიკული მაგალითები, რომლებშიც მონაწილეები აქტიურად ჩაერთვებიან.

ტრენერი: თეონა პაპიაშვილი – BDO Georgia-ს საგადასახადო განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, მუშაობის 10 წლიანი გამოცდილებით.

ადგილი: შერატონ გრანდ მეტეხი პალასი, 20 თელავის ქ., 0103 თბილისი.
დრო: 18 მაისი 2023, 11:00-17:00.

ღირებულება: DWV-ს წევრებისთვის 250 ლარი, სხვა შემთხვევაში – 300 ლარი.
გათვალისწინებულია ყავის შესვენება.

ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცემათ **სერტიფიკატები**.

ტრენინგზე რეგისტრაციის მსურველებს გთხოვთ, 2023 წლის 15 მაისის ჩათვლით შეავსოთ **სარეგისტრაციო ფორმა.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: medea.kvantaliani@dwv.ge.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-საიუბილეო წვეულება

DWV-ს ძვირფასო წევრებო და პარტნიორებო,

DWV აღნიშნავს მე-15 დაბადების დღეს და გიწვევთ ექსკლუზიურ საიუბილეო დღესასწაულზე, ბარბექიუსა და გემოვნებიანი მუსიკის თანხლებით!
ამა წლის **1 ივნისს, 20:30 საათზე**, გელოდებით სასტუმრო **რედისონ ბლუ ივერიას რესტორან „ფილინი"-ის ტერასაზე**.
ვსარგებლობთ შემთხვევით და უდიდეს მადლობას ვუხდით ჩვენს სპონსორებს მათი გულუხვი თანადგომისთვის: Insta, Majorel, Knauf, Caparol, Arensia, Heidelberg Cement, Nexia.
გამოიყენეთ შესაძლებლობა და გახდით განსაკუთრებული საიუბილეო ღონისძიების სპონსორი, მიიღეთ ექსკლუზიური სარეკლამო პაკეტი DWV-გან!
DWV-ს სრული წევრები უფასოდ მიიღებენ 2-ს, ხოლო სხვა დანარჩენი წევრები - 1 ადგილს. დამატებითი სტუმრებისთვის ღონისძიებაზე დასწრების საფასური არის 150 ლარი.
ღონისძიებაზე რეგისტრაციისთვის და სპონსორობასთან დაკავშირებით, არა უგვიანეს 22 მაისისა დაგვიკავშირდით ელ. ფოსტაზე.

DWV-Expert Talk: "მომხმარებელთა უფლებები - საკანონმდებლო რეგულირება და სასამართლო პრაქტიკა"

ძვირფასო DWV-ს წევრებო,

DWV გიწვევთ ღონისძიებაზე Expert Talk თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლესთან, სამართლის დოქტორთან და ასოცირებულ პროფესორთან, ქ-ნ თამარ ლაკერბაიასთან.

ღონისძიებაზე განხილული იქნება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ქართული სტანდარტი და რეგულირების ძირითადი ასპექტები. მიმოხილული იქნება, ასევე, სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

ღონისძიება ჩატარდება **ქართულ ენაზე** და უზრუნველყოფილი იქნება **გერმანულენოვანი სინქრონული თარგმანი.**

ღონისძიების ბოლოს მონაწილეებს ყავის მენიუზე ვუმასპინძლებთ, რა დროსაც მათ იდეების გაცვლის და ურთიერთობების დამყარების საშუალება ექნებათ.

DWV-ს წევრებისთვის მონაწილეობა თავისუფალია.
დრო & თარიღი: პარასკევი, 2 ივნისი 2023.
ადგილი: სასტუმრო რადისონ ბლუ ივერია, 1 ვარდების რევოლუციის მოედანი, თბილისი.
მონაწილეობის მსურველებს გთხოვთ, 26 მაისის ჩათვლით დაუკავშირდეთ მედეა კვანტალიანს: medea.kvantaliani@dwv.ge.

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

წევრთა გენერალური ასამბლეა 2023

2023 წლის 5 აპრილს გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ (DWV) წარმატებით ჩაატარა წევრთა გენერალური ასამბლეა სასტუმრო Pullman Tbilisi Axis Towers-ში. ღონისძიება შესანიშნავი შესაძლებლობა იყო DWV-ს საქმიანობის განვითარებისა და სამომავლო გეგმების წარსადგენად. სხვა საკითხებთან ერთად, საბჭომ 2023 წლის წლიური გეგმა წარადგინა, რაც ყველა წევრის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ წევრებმა ერთხმად მოიწონეს მმართველი საბჭოს 2022 წლის საქმიანობა.

საერთო კრების უმთავრესი ნაწილი იყო მმართველი საბჭოს წევრების დამტკიცება არჩევნების გზით. ხელახლა ან ახლად არჩეულ იქნენ საბჭოს წევრები: საპატიო დოქტორი საშა ტერნესი, ბ-ნი გიორგი ბათლიძე, ბ-ნი დავით შენგელია, ბ-ნი სანდრო ბახსოლიანი და ახალ წევრად არჩეულ იქნა ქ-ნი თებრონე რომანოვა.

ვულოცავთ საბჭოს წევრებს არჩევას და მოუთმენლად ველით მათთან თანამშრომლობას! დიდი მადლობა ყველა წევრს და მონაწილეს, ვინც წვლილი შეიტანა წევრთა გენერალური ასამბლეის წარმატებით განხორციელებაში!

DWV - Get Together

ოთხშაბათს, 19 აპრილს, ჩვენი მორიგი ტრადიციული “Get Together” ღონისძიება გაიმართა **რესტორანში "Republic".**

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG | გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება

სიხარულით გიზიარებთ DWV-ს 15 წლის საიუბილეო გამოცემას.

გამოცემაში თქვენ იხილავთ DWV-ს 2022 წლის ღონისძიებებსა და მნიშვნელოვან მოვლენებს; საქართველოს ეკონომიკურ მაჩვენებლებს; ჩვენი წევრების წარმატების ისტორიებს; ინფორმაციებს ჩვენი მომსახურებების, წარმომადგენლობებისა და პუბლიკაციების შესახებ; 2022 წლის საქმიანობის ანგარიშს.
პუბლიკაციაში თქვენ, ასევე, იხილავთ ჩვენი წევრების, პარტნიორი ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების სიას და, აგრეთვე, DWV-ს წევრობის უპირატესობებს.

JUBILÄUMSAUSGABE
საიუბილეო გამოცემა
2022

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

Messe Düsseldorf

interpack PROCESSES AND PACKAGING LEADING TRADE FAIR

GEORGIA INSIGHT YOUR TRAVEL GUIDE

მსოფლიოში ყველაზე დიდი შესაფუთი ტექნიკის, შესაფუთი მასალებისა და საკონდიტრო აღჭურვილობის გამოფენა

Interpack 2023

4 – 10 მაისი

დიუსელდორფი, გერმანია

ა.წ. 4-10 მაისს მესე დიუსელდორფი გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში მართავს ყველაზე დიდ საერთაშორისო გამოფენას **Interpack 2023**, სადაც წარმოდგენილი იქნება შემდეგი პროდუქტები:

1. შესაფუთი მოწყობილობა, მათ შორის: შემავსებელი მანქანები, მანქანები, რომლებსაც შეუძლიათ დათვლა, აწონვა ფიქსირებულ დროში. შესაფუთი მანქანა, რომელიც კრავს შესაბამის შეფუთვას და აფასოებს. მანქანები, რომლებიც ახდენენ შესაფუთი მასალის ეტიკეტირებას. შესაბამისი აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქტის განსაკუთრებულ დაცვას: ვაკუუმირება, დამცავი ფუმიგაცია, ასპექტური შეფუთვა და ა. შ.

2. შესაფუთი მასალები, მათ შორის: ხელოვნური, შესაკრავი, ლითონის, ქაღალდის, ქსოვილის.

3. შესაფუთი საშუალებები, დამხმარე საშუალებები შეფუთვისთვის: მტვრევადი და შესხურებადი შეფუთვა, ამპულები, ჩანთები, ბოთლები, ქილები, თაიგულები, ყუთები, კოლბები, დისპენსერები, ტუმბოები, შემავსებელი აღჭურვილობა, ეტიკეტები, ფოლგა, შესაფუთი დამხმარე საშუალებები.

4. საკონდიტრო მრეწველობის აღჭურვილობა: მანქანები, რომლებიც გადაამუშავებს საკონდიტრო მრეწველობის ნარჩენებს; ტკბილეულის წარმოების მოწყობილობა; ღუმელები, რომლებიც განკუთვნილია ხანგრძლივი ცხობისათვის; მანქანები ნაყინის, კაკაოს, დრაჟის, საღეჭი რეზინისა და შოკოლადის წარმოებისთვის.

შეიძინეთ ბილეთები ონლაინ.

საკონტაქტო პირები:

შპს ჯორჯია ინსაითი
MesseCONTACT Mandel - ის დაკვეთით
Messe Düsseldorf-ის წარმომადგენელი საქართველოში

მიხაელ მანდელი
+49 171 55 32 827
michamandel@web.de

ზაირა სოლოევა
+995 599 0110082
zaira.soloeva@georgia-insight.eu

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

„რადისონ ბლუ ივერიაში“ მზის პანელები დამონტაჟდა.

ქვედა სახურავზე განთავსებული 89 კვ.მ-ის მზის ელექტროსადგური სასტუმროს შესაძლებლობას მისცემს, დაზოგოს და ეფექტურად გამოიყენოს ენერგია სასტუმროს სივრცეებში. შედეგად, შემცირდება მავნე ზემოქმედება გარემოზე.

„სილქ ჰოსფითალითიში ცხადად ვაცნობიერებთ საკუთარ როლს საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვის საქმეში. რაც მთავარია, ამ ყველაფერს გარემოს დაცვის გათვალისწინებით ვახერხებთ. მოხარულები ვართ, რომ მზის განახლებადი ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით, „სილქ ჰოსფითალითი“ ერთ-ერთი პიონერი კომპანიაა. ყველა ახალი სასტუმროს მშენებლობასაც ჩვენ ენერგოეფექტურობაზე დაყრდნობით, ეკოლოგიაზე ზრუნვის მოტივით დავგეგმავთ,“ - იორდი ქუითი, სილქ ჰოსფითალითის აღმასრულებელი დირექტორი.

ვრცლად: https://lnkd.in/dMycPP-7

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

სპეციალური შეთავაზება რუმს თბილისისგან



DWV მკითხველებისთვის

სასტუმროში Rooms Tbilisi 20%-იანი ფასდაკლება მოქმედებს

2023 წლის ბოლომდე

BOOK NOW

ROOMS HOTELS™

Rustaveli Ave. 24, 0108 Tbilisi; *Tel.: + 995322 220567;* *info@dwv.ge*

GOLDEN TULIP

PLAYTIME. ANYTIME

DESIGN TBILISI

SPECIAL SPRING CORPORATE OFFER

Our hotel features a total of 77 rooms that are outfitted in a chic, contemporary design to meet both business and leisure travelers' needs. Breathtaking views of the River Mtkvari are the perfect way to start the day or to admire before bed. Each room is hand-painted by local artists, who in their works reveal unique stories about Georgia. The rooms are equipped with a wide range of amenities to enjoy.

- 60/70 USD (single/double)
- Including breakfast
- Including VAT 18%
- Free upgrade to Superior class room
- Free early check-in upon availability (from 12:00 noon)
- Free late check-out upon availability (till 06:00 PM).

37 Ketevan Tsamebuli Avenue, Tbilisi 0103
+995 (322) 157 157
info@goldentulipdesigntbilisi.com
design-tbilisi.goldentulip.com

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge

GOLDEN TULIP

PLAYTIME. ANYTIME

DESIGN TBILISI

Our property features two conference rooms outfitted with modern audio-visual technology. We can guarantee your event will be a great success, be it a conference, seminar, training, networking, brainstorming or closing a deal.

CORPORATE PACKAGE

- Full Day - 35 USD (2 coffee break; 1 Lunch)
- Half Day - 30 USD (2 coffee break; 1 Lunch)
- Conference Room - complimentary
- Technical equipment - for free.

*THE PROMOTION IS VALID FOR MORE THAN 15 PEOPLE

37 Ketevan Tsamebuli Avenue, Tbilisi 0103
+995 (322) 157 157
info@goldentulipdesigntbilisi.com
design-tbilisi.goldentulip.com

Rustaveli Ave. 24, 0108 Tiflis; Tel.: +995322 2205767; info@dwv.ge